რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 10 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 56 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 56

გულდათუთქულნი: მეუღლე [illegible] ატყობინებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ [illegible] 6 მარტს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ალექსანდრე პავლეს ძე ცხვიტარია**

[illegible] (2—2)

[illegible]

**ილია მიქირის ძე სულიძე**

სული მოსახსენებლად. (2—1)

[illegible]

**დიმიტრი (დიმო) პეტრეს ძე ალხაზიძე**

[illegible] (1—1)

[illegible]

**სიმონ დომენტის ძე ჭყონისი**

სული მოსახსენებლად. (1—1)

[illegible]

**გიორგი (იგივე ჟორჟიკო) ექვთიმეს ძე კვაჭაძე**

სული მოსახსენებლად. (1—1)

[illegible]

**სხდომა**

[illegible]

**„საქართველოს საკითხი და პოლიტიკური მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში“**

[illegible] (1—1)

[illegible]

**მიხეილ ნიკოლოზის ძე სმირნოვი**

**„ეკონომიური განვითარების კანონი და [illegible]“**

[illegible] (3—2)

[illegible]

[illegible] 4—1

## მიწის საკითხი

ამიერ-კავკასიის სეიმმა 7 მარტს სხდომაზე დაამტკიცა აგრარული კომისიის მიერ წარდგენილი მიწის შესახებ შემდეგი დებულება:

„მიწისმფლობელთა ხელში დატოვებულ მიწის ნორმა და საადგილმამულო რეფორმების განსახორციელებელი ზომები“.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წელს 16 დეკემბერს შემუშავებულ დებულების სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო და კერძო მიწების კომიტეტებზე გადაცემის შესახებ, შესავსებათ კომისიამ დაადგინა:

1) ყველა კერძო მეპატრონეთა მიწები, გარდა იმ ზომისა, რაც აღნიშნულია შემდეგ სტატიაში (2) ჩამოერთმევა მეპატრონეთ და სრულიად უფასოდ გადაავა საადგილ-მამულო ფონდში, რომელიც საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში იქნება.

2) ჩამორთმეულ მამულების მეპატრონეთ დაუტოვებენ:

ა) 7 დესეტინას, თუ ამ რაიონში ეწევიან ძვირფას კულტურის მეურნეობას.

ბ) 15 დესეტინას, უკეთუ მარტო პურის თესვას მისდევენ ამ რაიონში.

გ) და 40 დესეტინას, უკეთუ შინაურ საქონლის მოშენებას მისდევენ.

შენიშვნა 1) საოლქო და საგუბერნიო საადგილ მამულო კომიტეტებს უფლება ეძლევათ, ადგილობრივ პირობების მიხედვით, ამ სტატიის ძალით მიწის მეპატრონეზე დატოვებულ მიწების ზომა გაადიდოს; როცა პირველ კატეგორიის მამული ჩამოერთმევა ათ დესეტინამდე, როცა მეორე კატეგორიის 20 დესეტინამდე და მესამე—50 დესეტინამდე.

შენიშვნა 2) მეპატრონეზე დატოვებულ მიწის ზომაში შედის კარ-მიდამო.

3) ხიზნების და ჩამოსახლებულების მიწები, რომლებითაც იგინი „ტაპურ“ უფლებით სარგებლობენ მათ რჩებათ, მხოლოდ იმდენი, რამდენიც აღნიშნულია მეორე სტატიაში.

4) ამ კანონის 1—3 სტატიაში და აგრეთვე ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის დებულებაში აღნიშნულ მიწის რეფორმის განხორციელება ევალება მიწადმოქმედების სამინისტროს კომისარს და საადგილმამულო კომიტეტებს. მიწათმოქმედების მინისტრი საზღვრავს საგუბერნიო, სამაზრო და საუბნო საადგილ-მამულო კომიტეტების მოქმედებას. ჩამორთმეული მიწების რაოდენობის გამოკვლევის, მეპატრონესთვის დატოვებულ მიწის გამოყოფის, ჩამორთმეულ მიწების მიღების, მათი ექსპლოატაციის და ადგილობრივ მცხოვრებლებზე დასამუშავებლათ გადაცემის შესახებ და სხვა.

5) რომ კერძო პირთაგან, მონასტრების, სახაზინო და საუფლისწულო ჩამორთმეულ მიწების კომიტეტებზე გადაცემა ჩქარა მოხდეს, მიწით-მოქმედების სამინისტროს კომისარს უფლება ეძლევა გაგზავნოს ადგილობრივ საგანგებო რწმუნებულნი, რომელთაც განსაკუთრებული უფლებები ექნებათ და იმოქმედებენ ამიერ-კავკასიის სეიმის სახელით.

6) ამ რწმუნებულებს უფლება ეძლევათ: დაარსონ საადგილ-მამულო კომიტეტები იმ ადგილებში, სადაც ეს არ არის, ამ კანონის გამოცხადების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში დაითხოვოს არსებული კომიტეტები, უკეთუ იგინი შესაფერათ ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, შეადგინონ ახალი და მიიღონ ყოველივე საჭირო ზომები დავალებულ საქმის ასასრულებლათ.

შენიშვნა 1) საადგილ-მამულო კომიტეტში არ შეუძლიათ ისეთი პირნი შევიდნენ, რომლების მამულები კომიტეტებს უნდა გარდაეცეს.

7) უკეთუ ვინმე ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის დებულებაში და ამ კანონში აღნიშნულ მიწის რეფორმის განხორციელების დროს წინააღმდეგობას გასწევს, თუ დანაშაულის დაგვარათ მეტი სასჯელის ღირსი არ არის, დაისჯება 8 თვიდან ერთ წლამდე და ოთხ თვემდე სატუსაღოში ჩასმით, ან ყოველივე ღირსება უფლების ჩამორთმევით და ერთიდან ოთხ წლამდე გამასწორებელ რაზმში გაგზავნით ან ყოველივე ღირსება უფლების ჩამორთმევით და ერთიდან ოთხ წლამდე კატორღაში გაგზავნით.

8) ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის დებულების 3 პირველი სტატიის 1 და 3 შენიშვნა უქმდება.

9) ეს კანონი ძალაში შედის იმ დღიდან, რა დღიდანაც მას ამიერ-კავკასიის სეიმი მიიღებს.

## მიწების ჩამორთმევა

ამიერ-კავკასიის სეიმმა შვიდი მარტის სხდომაზე საბოლოოთ დაამტკიცა დებულება მიწების ჩამორთმევის შესახებ და ეს კანონი იმავე დღეს ძალაში შევიდა. ამ რიგათ ჩვენ უკვე გადავდგით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რითაც ახალ სამოქალაქო ცხოვრებას მტკიცე საფუძველი ეყრება. მიწის საკითხი ერთი მთავარ საკითხთაგანია დღევანდელ რევოლუციაში და მის სამართლიანათ გადაჭრას შეუძლია ცხოვრების არევ-დარევის მოსპობა და მტკიცე მთავრობისთვის ნიადაგის მომზადება.

მხოლოდ გულუბრყვილო პირებს და უპასუხისმგებლო დემაგოგებს შეუძლიათ გვისაყვედურონ მიწის საკითხის გადაჭრის დაგვიანება. ჩვენ კი ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ ისეთს რთულ საკითხში, როგორიც მიწის საკითხია, საჭიროა ფრთხილი და წინდახედული მოქმედება. ასეთი ჩვენი შეხედულება, საბედნიეროთ, კარგათ შეითვისა ჩვენმა დემოკრატიამ, რომელიც უპასუხისმგებლო პირების რჩევა-დარიგებას არ აყვა. ეს იმის თავდებია, რომ მიწების ჩამორთმევის საკითხი ჩვენში უმტკივნეულოთ გადაწყდება და ადგილი არ ექნება იმ უწესოებას და არევ-დარევას, რომელსაც შეუძლია დაასამაროს როგორც თვით მიწის საკითხი, ისე რევოლიუცია და თავისუფლება.

ჩვენ დღესაც გულახდილათ ვეუბნებით ხალხს, აღნიშნული კანონი არ წარმოადგენს მიწის საკითხის საბოლოვო გადაჭრას, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ კითხვის გადასაჭრელათ გადადგმული.

რაში გამოიხატება ამ კანონის მთავარი აზრი და შინაარსი?

ჩვენ ვიცით, რომ მთავარი მნიშვნელობა აქვს არა მიწის ჩამორთმევას, არამედ მიწით სარგებლობის ახალ ნიადაგზე მოწყობას, მარტო ჩამორთმევა რომ სწყვეტდეს საკითხს, მაშინ ჩვენც ავდგებოდით და იმას ვურჩევდით ხალხს, რასაც ბოლშევიკები და, ამ ბოლო დროს, ნაციონალ-დემოკრატები ურჩევენ: მიწების დატაცებას.

მაგრამ ასეთი დატაცება ვერაფერს ვერ შესძენს მშრომელ გლეხ-კაცობას, ის მხოლოდ მდიდარ გლეხებს გაუმაგრებს წელს და მიწა უბრალო სპეკულიაციის საგნათ გადაიქცევა.

ჩვენი ღრმა რწმენით, მიწის საკითხის საბოლოვოთ გადაწყვეტა, მიწათმფლობელობის წესის დამყარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ამისთვის უტყუარი ცნობები გვექნება ხელთ.

დღეს კი აუცილებლად უნდა განვახორციელოთ ის დებულება, რომ მიწა ხალხისაა. ამისთვის ჩვენ მოგვიხდება ძველი მფლობელის მოშორება. ეს ძველი მფლობელი მემამულეა. აქედან გამომდინარეობს ახალი კანონის პირველი და მთავარი პრინციპი: მიწა უსასყიდლოთ უნდა ჩამოერთვას როგორც კერძო პირებს, ისე ეკლესია-მონასტრებს, საუფლისწულო უწყებას, მეფის გვარეულობის წარმომადგენელთ და სხვა.

მაგრამ ახალი კანონით ყველას როდი უნდა ჩამოერთვას მიწა, როგორც ეს სოციალისტ-რევოლიუციონერებს და ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს უწერიათ პროგრამაში. ახალი კანონი ხელუხლებლათ სტოვებს გამოყიდულ ნადელებს და საზოგადოთ ყველა წვრილ მესაკუთრის ქონებას, ამ კანონით მიწა უნდა ჩამოერთვას მხოლოდ მსხვილ მესაკუთრეებს. ესენია უმთავრესად ყოფილი თავადები და აზნაურები, ეკლესია-მონასტრები და სხვ. თუმცა ამათ რიცხვში თითო-ოროლა ვაჭარი და გლეხიც ურევია.

ახალი კანონი ამ მესაკუთრეთ ორ რიგათ ყოფს: პირველ რიგში აყენებს კერძო მესაკუთრეებს, ხოლო მეორეში ეკლესია-მონასტრებს, მეფის გვარეულობას და სხვ. ამ მეორე რიგის მფლობელებს ჩამოერთმევა მთელი მიწა, რაც მათს განკარგულებაშია, ხოლო კერძო პირებს ჩამოერთმევა განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი. ეს არის მიწის ის ნორმა.

ასეთ ნორმათ სეიმმა დააწესა შვიდიდან ორმოც დესეტინამდე იმის მიხედვით, თუ სად როგორ მეურნეობას მისდევენ, სახელდობრ: შვიდ დესეტინას დაუტოვებენ იმ რაიონში, რომელშიც ძვირფას კულტურულ მცენარეულობის მოშენებას მისდევენ (მევენახობა, ბამბის მოყვანა და სხ.); ხუთმეტ დესეტინამდე იქ, სადაც პური მოჰყავთ და ორმოც დესეტინამდე, სადაც შინაურ საქონლის მოშენებას მისდევენ.

მსხვილ მესაკუთრეების რიცხვში შევლენ აგრეთვე ზოგიერთი ხიზნებიც. ხიზნების დიდ უმრავლესობას ზემოთ აღნიშნულ ნორმაზე ნაკლები უჭირავს. მაგრამ მოიძებნებიან ისეთი ხიზნებიც, რომელთაც ბლომათ აქვთ მიწები. ასეთი მსხვილი ხიზნების ბედი კანონმა სხვა მემამულეების ბედს გაუთანასწორა. რასაკვირველია, ეს ბევრს არ მოეწონება, იტყვიან—ხიზნებმა შრომა და ფული დახარჯეს მამულებზე და ჩამორთმევა უსამართლობა არისო. ეს არ არის მართალი. შეუძლებელია ერთმა ოჯახმა შვიდი და ხუთმეტი დესეტინა დაამუშაოს საკუთარი ძალით და თუ მას ამდენი მიწა ჩაუგდია ხელში, ცხადია უსამართლობა ჩაუდენია, უფრო ღარიბებისთვის წაურთმევია მიწა და დღეს მისთვის ზედმეტი მიწის ჩამოთმევა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენას ნიშნავს.

ამ ნაირათ კანონი უცილობოთ ადგენს, რომ მთელი მიწა უსასყიდლოთ ჩამოერთვას ეკლესია-მონასტრებს, „უდელს“ და სხვ. და აგრეთვე უსასყიდლოთ ჩამოერთვას სხვილ კერძო მემამულეებს განსაზღვრულ რაოდენობის დატოვებით.

მეორე საკითხი, თუ ვის რამდენი უნდა მიეცეს ამ ჩამორთმეულ მიწებიდან, ჯერ ჯერობით გადაუჭრელი რჩება. აღნიშნულია მხოლოდ შემდეგი: ჩამორთმეული მიწები გადადის ამიერ-კავკასიის საოლქო და საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში. ეს კომიტეტები ადგილობრივ გამოიმუშავებენ თუ რა პირობებში უნდა გადაეცეს მიწა კერძო პირებს (კან. მ. 4) დასამუშავებლათ. ამ კომიტეტების დემოკრატიული შემადგენლობა უზრუნველ ყოფილია მით, რომ წევრობა არ შეუძლიათ მემამულეებს და ყველა იმ პირებს, რომელთა ინტერესი მიწის ჩამორთმევას ეწინააღმდეგება(მ. 6 შენ.)

ასეთია მოკლეთ ახალ კანონის მთავარი დებულებანი. ეს კანონი სოციალ-დემოკრატიის პირმშო შვილია და, როგორც ეს სეიმში განაცხადა კომისიის მომხსენებელმა ამხ. ფირუმოვმა, ჩვენ სავსებით ვღებულობთ პასუხის მგებლობას იმ შედეგებისთვის, რომელიც ამ კანონიდან გამომდინარეობს.

სეიმმა თავისი სიტყვა სთქვა. კანონი უკვე გამოცემულია. მაგრამ ხალხის მტრები შეეცდებიან, ფარულათ მაინც, მის განხორციელებას ხელი შეუშალონ.

დემოკრატიულ ორგანიზაციების ვალია მედგრათ დაიცვან ხალხის ინტერესები და აღნიშნულ კანონის ცხოვრებაში გატარებას ხელი შეუწყონ.

## ვისთან არიან ქართველი სოც.-ფედერალისტები

„სახალხო საქმე“-ში (იხ. № 189) ბ. არ. ჯაჯანაშვილი გვისაყვედურებს: „სოციალ-დემოკრატები მთელ თავის ძალღონეს ანდომებენ ჩვენთან ბრძოლას, თითქოს მორიგი საკითხი ეს იყოს და არა საქართველოს დაცვა გარეშე მტრისაგან“-ო.

ფედერალისტებისაგან ყველაფერს მოველოდით, მაგრამ მაინც ვერ წარმოგვედგინა, რომ გაზეთის ხელმძღვანელები საკუთარ გაზეთს არ კითხულობდენ. სხვას თავი დავანებოთ და ბ. ჯაჯანაშვილს რომ თითონ ის ნომერი მაინც წაეკითხა, რომელშიც მისი საყვედურია დაბეჭდილი, დარწმუნდებოდა, რომ სწორეთ „სახალხო საქმე“ უნდება ჩვენს წინააღმდეგ თავისებურს „ბრძოლას“. ჩვენს წინააღმდეგ არის დაწერილი ამ ნომრის მოწინავე წერილი, მოწინავეს მისდევს ბ. შ. ნუცუბიძის წერილი, „ორი გზა“, ნუცუბიძის წერილს მიჰყვება ბ. აკ. პ—ვას წერილი „იდუმალი დიალოგი“, ქვევით, ფელეტონათ მოთავსებულია აღნიშნულ არ. ჯაჯანაშვილის წერილი „პოლიტიკური მდგომარეობა“, ზევით აკ. პ—ვას წერილს მიყვება: „როდემდის უნდა გაგრძელდეს თავხედობა?“ ვინმე „მებრძოლი“-ს მიერ ხელმოწერილი. ამ წერილებს უკავიათ გაზეთის პირველი და მეორე გვერდი და მესამე გვერდის ნაწილი. მესამე გვერდზედვე იწყება აგრეთვე ჩვენს წინააღმდეგ მომართული წერილი სათაურით: „ვინ ჰბადებს ანარქიას ჩვენში“, რომელსაც მეოთხე გვერდის ორი სვეტი და ცოტა მეტი უჭირავს. ერთი სიტყვით, გარდა მესამე და მეოთხე გვერდის მცირე ნაწილისა, სადაც ქრონიკაა მოთავსებული და ერთი პატარა ნეკროლოგი და ერთიც აგრეთვე პატარა ლექსი, მთელი ნომერი ჩვენს წინააღმდეგ მომართული წერილებითაა სავსე. ასევეა „სახალხო საქმე“-ს სხვა ნომრებიც. ეტყობა ბ. არ. ჯაჯანაშვილი დიდი ხუმარა ადამიანი უნდა იყოს, რომ ზემოთ მოყვანილ საყვედურს ჩვენ გვიძლვნის. ამ მხრით ის ცნობილ თედოლლონტსაც კი აჭარბებს. მაგრამ ჩვენ სულაც არ ვართ ხუმრობის გუნებაზე. არც მოცლილი ვართ, რომ კედლებზე ცერცვის მიყრით ვიქციოთ თავი, მაგრამ ჩვენ მხედველობაში გვყავს „სახალხო საქმე“-ს მკითხველები, რომელთაც ბეჭდვითი სიტყვის მეტი პატივისცემა აქვთ ვინემ ფედერალისტების პუბლიცისტებს და ამიტომ ერთგვარის ნდობით ეპყრობიან ამათ კალმების ნაწარმოებს.

ფედერალისტები მარტონი არ არიან ამ მოღვაწეობაში: მათ გვერდს უმშვენებენ აწ განსვენებული „ვოზროჟდენიე“, „საქართველო“ და ძმანი მათნი. ესენი მუდამ დიდ ლოიალობას იჩენენ თვითმპყრობელობის ჯალათებისადმი, კერძოთ „სახალხო“-ს ნიკოლოზ ხელმწიფის მოსვლაც კი არ გამოეპარა თავის დროზე და ამ კურთხეულ გვირგვინოსანსაც კი შეასხა ხოტბა. სამაგიეროთ დღეს ერთი ტკბილი სიტყვაც კი ვერ გაუმეტებია იმ მებრძოლ პარტიისათვის, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ეწოდება. პირიქით, არ არის ისეთი ცოდვა და დანაშაული, რომელიც ფედერალისტების სიტყვით ჩვენ არ ჩაგვედინოს. „რად დაატყდა ქართველებს ასეთი საშინელი უბედურება, რომელიც შეიძლება მთელი ერის განადგურებით გათავდეს“, კითხულობს ბ. შ. ნუცუბიძე და თითონვე იძლევა პასუხს: „მიზეზი იმაშია, რომ ქართველი ერი გაჰყვა ეროვნულ პოლიტიკის უარყოფის გზას იმ თავითვე და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ამ უარყოფამ დღეს ხორცი შეისხა და საშინელი ნაყოფი გამოიღო“. ასეთია ჩვენი დანაშაული.

რა გააკეთეს ბ. ნუცუბიძის სიტყვით თვით ფედერალისტებმა? ესენი თურმე ეუბნებოდენ ხალხს, რომ საჭიროა ეროვნულ ერთეულების ჩამოყალიბებაო, მაგრამ საქმეში ერეოდენ სოციალ-დემოკრატები და ჩასძახოდენ მეორე მხრიდან: არ შეცდეთ და ეროვნულ პოლიტიკის გზას არ გაჰყვეთო. და ქართველმა ხალხმა ბ. ნუცუბიძის თქმით, ყური არ ათხოვა პირველ ძახილს და უარჰყო ეროვნული განვითარების გზა. ერთი სიტყვით ქართველი ხალხი თურმე ერთი დიდი ქვევრია, ჩასძახეს ფედერალისტებმა, ქვევრმა ყური არ ათხოვა, ჩასძახეს სოც.-დემოკრატებმა და ქვევრმაც ამოსძახა. ასეთია ამ მეოცე საუკუნის მეცნიერის ფილოსოფია. და ასეთ ადამიანებს კიდევ უკვირთ, რატომ ხალხი ჩვენ არ მოგვემხრო და სოციალ-დემოკრატებს გაყვაო. ბ. ნუცუბიძე ისე გაიტაცა ამ აღმოჩენამ, რომ ყველაფერი დაივიწყა. ამიტომ ის შემდეგ ბრალდებასაც გვახვევს თავზე: ქართველ ერს არ აღმოაჩნდა საჭიროების დროს არც რეალური ძალაო. თურმე „ეროვნულ ტრაგედიათ უნდა ჩაითვალოს ის უსაკვირველესი მოვლენა, რომ ქართველმა ერმა 200.000 მეომარი სამსხვერპლოთ განმზადებული მიიტანა მიწიურ მამულის დაცვის კოცონზე და როდესაც საფრთხე მის საკუთარ მამულს სიკვდილის არჩდილად მოევლინა არ ჩანან მამულის დამცველნი და ამაოდ გაისმის შეგნებულთა გამწვევი ნაღარა“. აქ აშკარა ტყუილს ბრძანებს ბ. ნუცუბიძე: პოეტობას ისე გაუტანია ის, რომ სრულიად ვერ ხედავს, რა ხდება ჩვენში: ხალხი ირაზმება და საზღვრების დასაცავათ მიეშურება. ამ მხრით ეროვნულ

# რა მოგვცა რევოლუციამ?

დღეს თითქმის საყოველთაო აზრათ გადაიქცა თქმულება: რევოლიუციამ რაფერი მოგვცა, რევოლიუციონერები უნაყოფო გამოდგენო.

იშვიათათ შეხვდებით ამაზე უფრო გავრცელებულ, მაგრამ ამასთანავე ამაზე უფრო ყალბ აზრს.

რევოლიუციამ რა მოგვცა? პირველათ ყოვლისა რევოლიუციამ მოგვცა პოლიციის მუჯლუგუნისაგან განთავისუფლება, რევოლიუციამ ჩამოგვაშორა ის მტარვალი ხელი, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე გვწდებოდა ყელში და დახრჩობას გვპირებდა. რევოლიუციამ მოგვცა სიტყვის, წერის და კრების თავისუფლება, ესე იგი, ისეთი იარაღი, რომლის საშვალებით ადამინს და საზოგადოებას საშვალება ეძლევა თავის საქმეთა გაძღოლაში მთელი თავისი ნიჭი დ გამჭრიახობა გამოიჩინოს.

რევოლიუციის წყალობით ჩვენ გვაქვს დემოკრატიული თვითმართველობა მთელი ხალხის მიერ არჩეული, რომელიც ნამდვილი გამომხატველია ხალხის ნებასურვილის. ჩვენ გავხდით მოქალაქენი, რომელთაც უფლება მოგვეცა ყოველ თანამდებობის პირს პასუხი მოვსთხოვოთ და ხალხის სამსახური დავავალოთ. წინანდელ ბატონობას თანამდებობის პირთა ამ რიგათ სამუდამოთ ბოლო მოეღო. ბატონები თავიდან ჩამოგვშორდენ.

რევოლიუციის გამო მუშებმა განახორციელეს 8 საათის სამუშაო დღე, აქვთ პროფესიონალური კავშირები, თავისუფლება გაფიცვების, ერთი სიტყვით ყველა კულტურული საშვალებები თავის ინტერესების დასაცავათ. გლეხებს მან მისცა მიწა, რომელიც დღეს უკვე მათ განკარგულებაშია და ახლა მხოლოდ მათ გონიერებაზეა დამოკიდებული ძმურათ და საზოგადო სასარგებლოთ მოიხმარენ ამ მიწას, თუ ვერა, გაანოყიერებენ და მოსავლიანს გახდიან მას, თუ გააპარტახებენ და გაანიავებენ.

რევოლიუციამ ვერ მოგვცა მხოლოდ ერთი რამ: დაუყონებლივ ყველა საუკეთესო მცოდნეთ ვერ აქცია. და ეს არც შეეძლო მოეცა. ცოდნა მრავალწლობით შეიძინება, მან ვერ მოგვცა დაუყოვნებლივ სიმდიდრე და ბედნიერება. ეს ყოველივე ხანგრძლივი შრომით და მუყაითობით მოიპოვება. რევოლიუციის დღეებშიაც დღიური მაწა იძლევა იმდენს, რამდენსაც წინა წლებში იძლეოდა. განსხვავება ისაა, რომ წინეთ მიწათმოქმედების გაუმჯობესებაზე არავინ ზრუნავდა. და თუ ვინმე იზრუნებდა, მას ციმბირში უკრავდენ თავს. ახლა ასეთ გაუმჯობესებაზე ზრუნვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა პირდაპირი მოვალეობაა და ვინც ამ საგანზე იზრუნებს, იგი მხოლოდ საერთო სიყვარულს და პატივისცემას დაიმსახურებს.

ჩვენ გვაქვს უკვე ერობის კანონი, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა ცხოვრებაში გატარდეს. ეს დაწესებულება სოფლის ეკონომიურ წარმატებას ემსახურება და შესცვლის იმ დროებით კომიტეტებს, რომელიც უფულოთ და უთავდებოთ იყვენ და არავითარი კვალი არ დაუჩენიათ ხალხის ცხოვრებისთვის.

ამრიგათ რევოლიუციამ მოგვცა იარაღი, საშუალება, გზა და ხიდი ნაყოფიერი შრომისათვის, სწავლა-განათლებისათვის, აგვაშორა მონობის უღელს და დანარჩენი კი, ესე იგი ამ საშუალების გამოყენება თვით ხალხის უნარსა და მომზადებაზეა დამოკიდებული.

მაშ, რით აიხსნება ასეთი გავრცელება ზემო მოყვანილი თქმულების?

## პრესა

## კავკასიის ფრონტი

## საზავო მოლაპარაკება

## დეპეშა

## ახალი ამბები

## პროვინციის ქრონიკა

აგრარულ ნიადაგზე მოძრაობა და საერთოდ ჩვენებურ „ბოლშევიკების გამოსვლა“ სრულიად მოისპო.

**აბასთუმანი.** 3 მარტს ღამით, პოლიტიკურ სანატორიიდან გაიპარა 5 ტყვე, სამი ავსტრიელი და ორი გერმანელი.

ოსმალების შემოტევის გამო ხალხში შიშიანობაა.

**თელავის** მერვე პოლკს, სადაც ჯარისკაცებათ იყვნენ უმეტესათ მძარცველნი, ყაჩაღები, ქურდები და ყოველ მხრივ ზნედაცემულნი პირნი, უკვე ალაგმეს თფილისელმა წითელ გვარდიელებმა და ყოველივე მათ ხულიგანურ გამოსვლებს ბოლო მოუღეს, მაგრამ სამწუხაროთ ზოგიერთი მათგანი გადაურჩა წითელ გვარდიელების რისხვას და თოფით ხელში ტყეს შეაფარა თავი, რომ იქიდან განაგრძოს თავისი საზიზღარი მოქმედება. ამ ხულიგნებმა უკვე დაიწყეს თარეში და უდანაშაულო ადამიანთა სისხლის ღვრა. ამ დღეებში თიანეთის გზაზე მოჰკლეს წითელ გვარდიელი, ს. თანდილოვი, რომელიც თელავიდან გაჰყვა თიანეთის ფოსტას და იქიდან უკან ბრუნდებოდა. მას დაუხვდენ სოფ. ქისტაურის მახლობლათ ერთ ხევში, ჩამოსვეს ეტლიდან, გაიტაცეს ტყეში და იქ გამოასალმეს წუთისოფელს მხოლოდ იმისთვის, რომ ისიც წითელ გვარდიელი იყო და სხვა არაფერი. ასე იძიებენ შურს წითელ გვარდიელებზე ეს ხალხის მტერნი და მოღალატენი.

**ხაშური.** 27 თებერვალს ადგილობრივ ს. დ. მ. პ. ინიციატორობით გაიმართა მრავალრიცხოვანი სახალხო მიტინგი. მიტინგს დაესწრო როგორც გვარდიის მთელი შემადგენლობა, აგრეთვე აუარებელი ხალხი ყველა ახლო-მახლო სოფლებიდან. მიტინგი გახსნა ს. დ. პ. კომიტეტის სახელით ვ. ზაქარეიშვილმა. ილაპარაკეს ორატორებმა ყველა პარტიიდან: ს.-დ., ს.-ფ., ესერებიდან, ბოლშევიკებიდან და სხ. ერთხმათ მიღებულ იქნა იმნაიშვილის რეზოლიუცია: „ვინაიდან ჩვენს კუთხეს დღითი-დღე საშინელი საფრთხე მოელის, როგორც გარედან—ოსმალეთის, აგრეთვე შიგნით ანარქიის სახით, რაც ჩვენი ერის ფიზიკურ არსებობას განსაცდელში აგდებს, 27 თებერვალს მოწვეული მრავალრიცხოვანი მიტინგი ერთათ-ერთ კომპენტენტურ და რევოლიუციონურ მთავრობათ ამიერ კავკასიის სეიმს სცნობს, ნდობას უცხადებს მას და ჰფიცავს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შეებრძოლება რევოლიუციის მოღალატეთ, რომ ამით დაიცვას მოპოვებული თავისუფლებანი.

**ქ. სიღნაღი.** 11 მარტს მოხდება სიღნაღის შემნახველ გამსესხებელი ამხ. წლიური კრება.

— სიღნაღში შესდგა ქართული ეროვნული საბჭოს განყოფილება, რომელმაც იკისრა თუქურმიშის ჯარის ქონების მოვლა პატრონობა.

— რ. ს. დ. მ. პ. სიღნაღის ორგანიზაციამ შეადგინა წითელი გვარდია, რომელიც ენერგიულად მოქმედობს.

— 1 მარტიდან ქ. სიღნაღში შემოიღეს რვა საათის სამუშაო დრო.

— სიღნაღი კვლავ განიცდის შიმშილს, რიგდება სულზე ნახევარი გირვანქა ქერის პური და ხან ისიც არ არის.

— ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა შევიდეს წევრად ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირში.

— ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა გახსნას ქ. სიღნაღში საავადმყოფო ჯერ-ჯერობით 50 საწოლით. იშუამდგომლოს ქალაქთა კავშირის წინაშე, რათა დაუთმონ საავადმყოფოსთვის საჭირო ინვენტარი და აგრეთვე მასალა წყლის გასაყვანათ და სხ.

## ამიერ-კავკასიის სეიმი

(7 მარტის საღამოს სხდომა).

7 მარტს საგანგებოთ დაინიშნა საღამოს სხდომა ერევანში მომხდარ ამბების გასარჩევათ. ვრცელი მოხსენება გააკეთა ერევანში გაგზავნილ დელეგაციის თავმჯდომარემ გრ. გიორგაძემ.

17 და 21 თებერვალს––ამბობს მომხსენებელი ერევანში მოხდა სამწუხარო ამბები. წარმოიდგინეთ რკინის გზა, რომელზედაც წინათ ცხოვრება სდუღდა, ახლა კი ყველაფერი განადგურებულია, სადგურები დანგრეულია, მოსამსახურეები არა სჩანან. ასეთ მდგომარეობაშია ულუხანლუ, არარატი და სხვა სადგურები ჯულფისაკენ. გადარჩენილა მხოლოდ სად. კამარლიუ, სადაც სდგას სომხების ასეული. მგზავრობა შეუძლებელია, რკ. გზის ახლოს მდებარე ადგილები უდაბნოთ არის ქცეული, სანგრებში სხედან მუსულმანები, სომხები. ერთ სადგურზე დავინახეთ შეიარაღებულები, მუსულმანთა დელეგაციას მათ უპასუხეს, ჩვენ ქურთები ვართ, მოვედით აქ, რომ წავიღოთ რაც კი დარჩენილაო. მეორე ადგილზე ჩვენ გვითხრეს, ხიდები ქურთებმა დაანგრიესო. მუსულმანები ამბობენ, რომ ეს ყველაფერი ქურთების საქმეაო. ერთ-ერთ სხდომაზე ერთ მუსულმანმა განაცხადა: რკ. გზებს ჩვენთვის ზარალი მოაქვს, მოდიან რუსების, სომხების ეშელონები და ჩვენ გვესვრიან და გვანადგურებენო. ამიტომ ისინი ანადგურებენ რკინის გზას, სადგურებს. მუსულმანები ამბობენ აგრეთვე ფრონტზე დარჩენილი ქონება ყველას ეკუთვნის და ჩვენ სომხების ეშელონებს არ გაუშვებთ ამ ქონების მისათვისებლადო. როცა ჩვენ მივედით ერევანში სოფლებში გავგზავნეთ მუსულმანებისა და სომხებისაგან შემდგარი დელეგაცია, მაგრამ მათ იარარი აყარეს. მუსულმანები კლავენ სომეხ ჯარისკაცებს, სომხები კლავენ მუსულმანებს. სომხურ ჯარების კომისარმა განაცხადა, ჩვენთვის ყველა სტრატეგიული გზები დახურულია და არ შეგვიძლია ფრონტზე წასვლაო. მუსულმანების წარმომადგენელს ამის წინააღმდეგ არაფერი უთქვამს. მუსულმანებმა მოგვცეს ჩვენ სიტყვა, რომ თავისუფლათ გაატარებენ სომხის ჯარს ფრონტისკენ.

დელეგაციის შეხედულებით საჭიროა ყოველგვარ დაბრკოლებების მოსპობა, რაც კი ხელს უშლის ეშელონების მოძრაობას. ეშელონებზე ყოველგვარი თავდასხმა არის სახელმწიფოებრივი დანაშაულობა. მაგრამ თავდასხმას აწყობენ არა მუსულმანები, როგორც ერი, არამედ ცალკე პროვოკატორები. დელეგაცია ფიქრობს, რომ სეიმმა და მთავრობამ უნდა მიიღოს სასტიკი ზომები, რომ არ შეიქნეს შინაური საომარი ფრონტი. ერთის მხრით სდგას რეგულიარული ჯარი, მეორეს მხრით მუსულმანთა შეუკავშირებელი მასსა. ეს ქმნის ნიადაგს ნაციონალურ ომისთვის, რაც მცირე საზომით მოხდა კიდეც ერევანში, სოფელ კამარლიუში მუსულმანები არა სჩანან, სომხები უვნებლათ დარჩენილან. ამაზარლიუში და ულუხ ნლუში მცხოვრებთა ნაწილი განადგურებულია. დანალუდან მუსულმანები სადღაც წასულან, არავინ იცის სად. სომხების ცნობით ასეთ მდგომარეობაშია 18 სოფელი, მუსულმანების ცნობით კი—21 სოფელი. სოფლების განადგურებაში მონაწილეობა მიუღია სომხურ რეგულიარულ ჯარს, რომელიც ერევანიდან გამოუწვევიათ. ქალაქში მომხდარა ჟლეტა. მოუკლავთ 36 მუსულმანი და 5—6 სომეხი. დუქნები განადგურებულია. მუსულმანი და სომეხი საზოგადო მოღვაწეები რომ არ ჩარეოდენ, საშინელი ხოცვა ჟლეტა დაიწყებოდა. დელეგაციის აზრით ბავშვების, მოხუცების და ქალების ამოჟლეტა, სოფ. განადგურება რეგულიარული ჯარის მონაწილეობით დიდი დანაშაულია, დამნაშავენი აუცილებლათ უნდა დაისაჯონ. ერევნის გუბერნიაში ანარქიის გაძლიერებას ხელს უწყობს სპარსეთის საზღვარის სიახლოვე. ქურთები გადმოდიან საზღვარზე და აწიოკებენ როგორც მუსულმანებს, ისე სომხებს. ამის წინააღმდეგ უნდა იქნას მიღებული სასტიკი ზომები. ეს ზომები უნდა მიიღოს ამიერ კავკასიის ცენტრალურ მთავრობამ, მაგრამ ადგილობრივ ორგანოებმაც უნდა შეუწყონ ხელი ამ ზომების განხორციელებას. მაგრამ ერევანის გუბერნიაში არ არის მთავრობის ორგანოები და ბნელი ძალები თავისუფლათ დათარეშობენ. არ არის განსაზღვრული არც ეროვნულ საბჭოების უფლებები. ამიტომ გამეფებულია სრული ანარქია. ამით სარგებლობენ პროვოკატორები. მილიციაც უძლურია. მას არა აქვს იარაღი მაშინ, როცა მცხოვრებნი შეიარაღებული არიან. არის ერევანში მოდარაჯე როტა, მაგრამ მას დღემდისაც არ მიუღია ერთი კაპეიკი და შესაძლებელია მალე დაიშალოს კიდეც. ამიტომ ადვილათ გასაგებია, როცა ერთ მუსულმანმა უთხრა რუს აფიცერს: ამბობენ, დროს (სომხის ჯარების კომისარი) ნიშნავენ მეფეთო; ჩვენ არაფერი არ გვექნება ამის საწინააღმდეგოვო.

საჭიროა მტკიცე მთავრობა. ამისთვის საჭიროა რეალური ძალა. მაშინ პროვოკატორებიც აილაგმებიან. მუსულმანებსა და სომხებს შორის მტრობა, შური არ არსებობს. ადგილი აქვს მხოლოდ ცალკე გამოსვლებს. ჩვენ თან მიგვყვებოდა სომეხი ჯარისკაცი. როცა შევჩერდით ერთ სადგურზე, იგი გაეშურა მუსულმანებისაკენ, გადაეხვია ერთ მუსულმანს და კოცნა დაუწყო: ერთმანეთს ულოცავდენ, რომ მშვიდობით გადარჩენ.

ეს საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, რომ სომეხსა და მუსულმანს შორის არ არსებობს შური, მხოლოდ ბნელი ძალები აღვივებენ მას ხელოვნურათ. სომხებსა და მუსულმანებს შორის მუშაობა სწარმოებდა არა კლასიური, არამედ ნაციონალურ პრინციპის მიხედვით.

საჭირო არის აქაც გაჩაღდეს მუშაობა კლასიურ ნიადაგზე. მაგრამ ეს მომავალის საქმეა. ახლა კი „მუსავატმაც“ და „დაშნაკცუთიუნმაც“ უნდა აღიაროს, რომ საჭიროა ანარქიის ცეცხლის ჩაქრობა.

ამ მიზნით დელეგაციას საჭიროთ მიაჩნია: 1) მიღებულ იქნას ზომები, რომ ეშელონების მოძრაობა თავისუფლათ სწარმოებდეს; 2) გაიგზავნოს ერევანში საგამომძიებლო კომისია; 3) გაიგზავნოს შერეული რაზმი; 4) აღმოუჩინოთ დახმარება ლტოლვილებს, 5) მიღებულ იქნას ზომები საზღვრების დასაცავთ; 6) აიკრძალოს დამსჯელი რაზმის გაგზავნა.

იმედია სეიმი მიმართავს ყველა ერებს შეერთდენ, დაიცვან მშვიდობიანობა და თავის დროშაზე წააწერონ: „მშვიდობიანობა ურთიერთ შორის და ამიერ-კავკასიის ყველა ხალხთა გაერთიანება“.

**აგაევი** („მუსავ.“) თუ 1905 წ. ხოცვა-ჟლეტის დროს ერთი მეორეს ანადგურებდა სომხებისა და მუსულმანების მასსა, დღეს ერთის მხრით დგას რეგულიარული ჯარი, მეორეს მხრით კი შეუკავშირებელი მასსა. არის ბოროტი ადამიანები, რომლებიც საშუალებას არ აძლევენ მუსულმანებს და სომხებს გამონახონ საერთო ენა. ქურთებს რკ. გზიდან უშენდენ ტყვიებს და დღეს, ცხადია ისინი ანადგურებენ ამ რკინის გზას. „კავკ. სლ.“-ში დღეს სწერია, ანარქიის ძაფი განჯის გუბერნიიდან სხვა გუბერნიებში გადავიდაო. ამით ხაზში ყავთ მუსულმანები. ეს კი არ არის მოსაწონი. მუსულმანები არასოდეს არ ყოფილან მოღალატენი. ლტოლვილ მუსულმანებს უნდათ დაბრუნდნენ თავის სოფლებში, მაგრამ კომისარი დრო არ აძლევს მათ ამის ნებას: იქ სომხები ჩაესახლებიან, თქვენ აქ დარჩითო. მე გავიგე სხვათა შორის, რომ სეიმის წევრი აზრუმანოვი (დაშნაკ.) ყარსის სამხედრო კომისარათ დაუნიშნავთ. მისი დანიშვნა ამ საპასუხისმგებლო პოსტზე. არ შეიძლებოდა ერთი იმიტომ, რომ იგი სეიმის წევრია, მეორე იმიტომ, რომ მას დამოკიდებულება აქვს შაუმიანთან; აი როგორ წერილს სწერდა არზუმანოვი სტ. შაუმიანს: „ძვირფასო სტეფანე! განჯის გუბერნიაში დაიწყო აგრარული მოძრაობა —და თქვენ კარგათ იცით, ამბობს აგაევი—თუ რაში გამოიხატა ეს მოძრაობა —შენ იცი, როგორ შეუწყობ ხელს ამ მოძრაობას. შენი გრიშა არზუმანოვი“.

**ხაჩატურიანი** (დაშნ.) დელეგაციას მეტი მასალები არ შეეძლო ჩვენთვის მოეცა. სხვა კუთხეების შესახებ ჩვენ სრულებით არა გვაქვს ცნობები. ამიტომ არ შეიძლება ჯერ-ჯერობით გადაჭრილი ზომების მიღება, დაშნაკელები მომხრე არიან ერთა სოლიდარობის, მაგრამ საქმეს დიდათ აფერხებს ის გარემოება, რომ მუსულმანთა სოფლებში არ არის ინტელიგენცია და პროვოკატორები დათარეშობენ. საჭიროა მუსულმანი ინტელიგენტები გაიშურონ სოფლებში.

კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო. ილაპარაკა კიდევ რამდენიმე ორატორმა. მუსულმანი ორატორები მუსულმანებს ამართლებდენ, სომეხი ორატორები სომხებს. არც ერთს და არც მეორეს არ უნდა სთქვას, რომ მოღალატე და პროვოკატორი შესაძლებელია იყოს როგორც მუსულმანი, ისე სომეხი, ქართველი, რუსი და სხ. ასეთ მსჯელობის სიყალბეს ფარდა ახადა ნოე ჟორდანიამ.

ყოველივე იმიდან—ამბობს ნ. ჟორდანია—რაც აქ ითქვა, მე დავინახე ორი ფაქტი: პირველი, სომხის რეგულიარულ ჯარს მონაწილეობა მიუღია მცხოვრებთა დარბევაში და სოფლების განადგურებაში; მეორე—სომხის ეშელონებს თავს ესხმოდენ და არ აძლევდენ ფრონტისკენ მოძრაობის საშუალებას. ამ ორ ფაქტიდან უნდა გამოვიდეთ ჩვენ. ცხადია, რომ რეგულიარულ ჯარმა უნდა გადალახოს ყოველივე დაბრკოლება და მივიდეს იქ, სადაც ნაბრძანები აქვს. მხოლოდ დავას იწვევს ის, რომ ეს ჯარი უხვევდა გზიდან, ანადგურებდა ყველაფერს, სახლებსაც კი. და როცა ამას სჩადის რეგულიარული ჯარი, ხალხის ფულით შეიარაღებული და ჩაცმული—ეს მთავრობის ღალატია. (ტაში). მე ვკითხები მთავრობას, რა ზომებს იღებს იგი ამ დროს? სჩანს, რომ მას არავითარი ზომები არ მიუღია. როცა გორში და თელავში რეგულიარულ ჯარმა არეულობა მოახდინა, იგი ჩვენ დავშალეთ, მოთავეები დახვრიტეს. ასე უნდა მოქცეულიყვენ ერევანშიც და მაშინ ჯარი დაინახავდა, რომ საჭირო იყო ფრონტზე წასვლა და არა გზიდან გადახვევა და სოფლების აწიოკება. მთავრობამ უნდა ადევნოს თვალყური, რომ რეგულიარული ჯარი არ ერეოდეს პარტიულ და ეროვნულ ურთიერთობაში. აქ ცნობა მოვიდა, ერთი სომეხი მოეკლათ. ასეთი მკვლელობა ყოველთვის და ყოველგან არის. რეგულიარული ჯარი კი ჩაერია საქმეში ზარბაზნებით, ტყვიისმფრქვეველებით და ყველაფერი გაანადგურეს. ასეთ გამოსვლებს უნდა მოეღოს ბოლო. არის მეორე ფაქტი—სომხურ ეშელონებს გზებს უჭერიან და არ აძლევენ თავისუფლათ მოძრაობის ნებას. აგაევმა სთქვა, ეს არინ მართალი, მუსულმანთა შორის არ არიან მოღალატენიო. ასეთ მტკიცებამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ვისაც ყველაფერი უნდა დაამტკიცოს, ის ვერაფერს ვერ დაამტკიცებს. მოღალატეები არიან ქართველებშიც, სომხებშიც და მუსულმანებშიაც. არიან ისეთი პირები, რომლებიც დაინტერესებული არიან, რომ ჩვენი ეშელონები არ მიდიოდეს ფრონტისკენ. ამ ადამიანების ადგილი არ უნდა იყოს ამიერ-კავკასიაში, მათ უნდა უთხრათ, ხელები შორს ჩვენგან. ყველა უნდა გავერთიანდეთ ქვეყნის დაცვის გარშემო. მაშინ არ იქნება არც განჯის, არც ერევანის, არც აჭარის ამბები. ძირითადი საკითხი—ეს ამიერ-კავკასიის საზღვრების დაცვაა და ვინც ამის წინააღმდეგია, მათ უნდა დასტოვონ ამიერ-კავკასია, ან ჩვენ ვაიძულებთ დასტოვონ. უნდა განვაცხადოთ აქ, რომ ჩვენ ყველა სოლიდარულათ ვმოქმედობთ, რომ ეს იცოდენ მტრებმა და ვერ გაბედონ ჩვენს წინააღმდეგ წამოსვლა (ტაში).

**რ. არხენიძე.** აქ უსაყვედურებდენ მთავრობას, მაგრამ იქ ხომ სამი პასუხისმგებელ პარტიის წარმომადგენლები სხედან, და თუ თქვენ დახმარებას არ აღმოუჩენთ, რა უნდა მოსთხოვოთ მას. თუ პარტიები მოისურვებენ, შესძლებენ ჩააქრონ ანარქია. პარტიები კი ამ შემთხვევაში ხელს იბანენ და ამით სარგებლობენ პროვოკატორები. თუ ქართველებს ეყო ძალა არეულობის ჩასაქრობათ, ასე უნდა მოხდეს სომხებისა და მუსულმანების პროვინციაში.

კამითის შეწყვეტის შემდეგ დაევალა მთავრობას: 1) მიიღოს ზომები, რომ ეშელონების მოძრაობას დაბრკოლება არ გადაეღობოს წინ; 2) გაიგზავნოს ერევანში შერეული რაზმი; 3) აღმოეჩინოს დახმარება ლტოლვილებს; 4) აიკრძალოს დამსჯელი რაზმის გაგზავნა; 5) ყველა ჯარებს განაგებს ამიერ-კავკასიის მთავრობა; 6) გაიგზავნოს ერევანში საგამომძიებლო კომისია, რომელიც გამოარკვევს მომხდარ ამბებს.

ამის შემდეგ **ისიდორე რამიშვილს** შეაქვს შეკითხვა მთავრობისადმი. მარტო აღშფოთებით—ამბობს ისიდორე—ჩვენ ამბებს ვერ შევაჩერებთ. სეიმმა უნდა იცოდეს ყველაფერი, რომ დროზე მიიღოს შესაფერი ზომები. ამიტომ მე მოვითხოვ მთავრობამ გადმოგვცეს ჩვენ ყოველივე ცნობები. ჩვენამდე მოვიდა ცნობა, რომ ახალციხე გარშემორტყმულია და ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ ემორჩილება თუ არა ახალციხე სეიმს, იცის თუ არა ეს მთავრობამ და თუ იცის, რა ზომები მიიღო?

მთავრობის სახელით შეკითხვაზე უპასუხებს ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე **ევგენი გეგეჭკორი.** ეს საკითხი—ამბობს, ე. გეგეჭკორი—არ ახალია, ძველია. შეკითხვის ავტორი კარგათ იცნობს ამ საკითხის ისტორიას, იგი ორჯერ იყო გაგზავნილი ახალციხეში. მთავრობა ხედავდა, რომ ჩვენ საშინელი ამბები მოგველოდა და მან მიიღო შესაფერი ზომები, გააკეთა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. გუშინაც გვქონდა ამ საკითხის შესახებ მსჯელობა და ერთხმათ დაადგინა მთავრობამ ანგარიში გაუწიოს ამ ამბებს და დაავალა თავმჯდომარეს მიიღოს ზომები, გუშინ მე დავნიშნე ახალციხის ყველა სამხედრო ნაწილების უფროსად გენ. არჯევანიძე. მას დაევალა არეულობის ჩაქრობა. ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ არჯევანიძის მოთხოვნაზე გაენთავისუფლებიათ გზა, შეიარაღებულებმა უპასუხეს, ჩვენ გზას არ გავანთავისუფლებთო და მოითხოვეს საბოლოო პასუხისთვის ერთი კვირის ვადა. მე ვაცხადებ, რომ ასეთი აბუჩათ აგდების წინააღმდეგ ჩვენ მივმართავთ სასტიკ ზომებს (ტაში). აქ მთავრობა არ შეიძლება იყოს დამნაშავე, ვინაიდან მის გარეშე მოქმედებენ სხვა ორგანიზაციები, თუ თქვენ კეთილ სინდისიერათ მოგვეპყრობით, შესაძლებელი გახდება როგორც ჩვენი, ისე თქვენი გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება. მაგრამ ამას მე ვერ ვხედავ ვერც ერთი ორგანიზაციის მხრით. თქვენ ჩვენ დაგვისვით საკითხი მე კი თქვენ გეკითხებით: იცით თუ არა თქვენ, რომ არც ერთი ორგანიზაცია არ უჭერს მთავრობას მხარს და თუ იცით, რა ზომები მიიღეთ? (ტაში).

**ნოე ჟორდანია.** გეგეჭკორმა სთქვა, რომ არც ერთი ორგანიზაცია მხარს არ უჭერს მთავრობასო. მე მენშევიკების ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. ჩვენ ყოველთვის ვუჭერდით მხარს მთავრობას, ვინაიდან კარგათ ვგრძნობდით, რომ ეს მძიმე უღელი ჩვენ გვაწვა. ეს ჩვენ დავამტკიცეთ საქმით. იმ პროვინციებში, სადაც ჩვენს პარტიას აქვს ძალა, სიმშვიდე არის დაცული. თუ იყო ექსცესები, საერთო ძალით ასე თუ ისე ბოლო მოვუღეთ მას და სადაც ჩვენ სუსტი ვართ, იქ ბატონობენ დაშნაკელები და მუსავატი და დეე, ეს საყვედურიც მოგვეკუთვნოს არა ჩვენ, არამედ ამ პარტიებს. (ტაში).

**იაკჯიანი** (დაშნ.). ჩვენი პარტია ყოველთვის ცდილობდა მთავრობა ნდობით ყოფილიყო აღჭურვილი. ყოველ შემთხვევაში შემდეგში აღმოუჩენთ მას დახმარებას.

**რუსტამბეკოვი** („მუსავ.“)). ჩვენი პარტიაც დაუმტკიცებს ყველას, რომ მხარს უჭერს მთავრობას. საყვედური ჩვენ ფორმალურათ არ გვეკუთვნის, ვინაიდან ჩვენს პარტიას თავის წარმომადგენელი არ ჰყავს მთავრობაში.

მიღებულ იქნა ერთხმათ ის. რამიშვილის წინადადება: მოისმინა რა შეკითხვა მთავრობისადმი და მთავრობის პასუხი, რომ გადაწყვეტილია გადადგმულ იქნას აქტიური ნაბიჯი, ამიერ კავკასიის სეიმი იწონებს მთავრობის ნაბიჯებს და გადადის მორიგ საქმეებზე“.

ვენ—სონ.

## ამიერ-კავკ. საბჭოების წითელ გვარდ. ყრილობა

20 მარტს დანიშნულია ამიერ-კავკასიის საბჭოების წითელ გვარდიელთა პირველი ყრილობა.

ყრილობის მიზანია წითელ გვარდიელთა ერთნაირ ორგანიზაციის შექმნა.

მოწვევის წეს-რიგი და წარმომადგენლობა:

1) ყრილობაზე წარმომადგენლობის უფლება აქვთ როგორც ქალაქის, ისე სოფლების ყველა წითელ გვარდიას, რომლებიც შემდგარია საბჭოებთან ან რევოლიუციონურ აღმასრულებელ კომიტეტებთან. პარტიულ წითელ გვარდიელებს წარმომადგენლობის უფლება აქვთ. 2) წითელი გვარდია, რომელთა რიცხვი 50—100-მდეა გზავნის ყრილობაზე ერთ დელეგატს და თვითეული სრული ათეული თითო წარმომადგენელს. 3) წვრილი ერთეულები ერთდებიან.

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) წითელი გვარდიის მიზანი და დანიშნულება, 2) ქვეყნის დაცვა, და მასში წითელ გვარდიის მონაწილეობის მიღება, 3) ამიერ-კავკასიაში წითელ გვარდიის დაარსების ინსტრუქცია, 4) მუდმივი ჯარი, საყოველთაო მილიცია და წითელი გვარდია, 5) ცენტრალურ შტაბის არჩევა.

ყველა ეს კითხვები წინასწარ უნდა განიხილოს ადგილობრივ.

ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო სთხოვს ამხანაგებს დროზე გამოგზავნონ ყრილობაზე წარმომადგენლები.

ცნობების მიღება შეიძლება შემდეგი მისამართით: თფილისი, სასახლე, წითელი გვარდიის შტაბი.

საორგანიზაციო ბიურო.

## ჩრდილო კავკასიის ამბები

(გაზეთებიდან).

თერგის ოლქში ინგუშებს და ოსებს შორის შეტაკებაა. ამიერ-კავკასიის ბევრი მცხოვრები ოსები დატყვევებულნი არიან ინგუშების მიერ და არ უშვებენ, რომ ისინი წამოვიდენ სამხედრო გზით. ორი თვეა არავითარი სურსათი არ მიუწოდებიათ მათთვის. სთხოვენ მიიღონ სასწრაფოთ ზომები და უზრუნველყონ ოსების თავისუფლათ გამომგზავრება საქართველოს სამხედრო გზით.

---

ყაზახებს და ინგუშების შორის გაჩაღებულია ბრძოლა ყაზახების მიმავალ რაზმს სოფ. ყულართან ჩეჩნებმა სანგრებიდან დაუწყეს სროლა. ყაზახებმა ყუმბარები დაუშინეს მათ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომელმაც ორივე მხრიდან ბევრი იმსხვერპლა.

სოფ. ყულარის ჩეჩნებს, მეზობელ სოფლის მცხოვრებნი მიეშველენ და დაუწყეს ყაზახებს ტყვიის მფრქვეველებით სროლა. სამასამდე ჩეჩენთა რაზმმა იერიში მიიტანა ყაზახთა სტანიცაზე, რომანოვსკზე მაგრამ ყაზახებმა უკან დაახევინეს. სოფ. ალხანურტში თავს იყრიან აუარებელნი ჩეჩნები და აპირებენ ყაზახებზე გალაშქრებას. ჩეჩნები თავს დასხმიან სტანიცა რომანოვსკის მცხოვრებ ყაზახებს. ორივე მხრიდან დიდია მსხვერპლი. გროზნოში მყოფი ჯარისკაცები მიეშველნენ ყაზახებს და დაიწყეს ჩეჩნების სოფელ ალდის ნგრევა.

## წერილი სარიყამიშიდან

თებერვალში 300-მდე ჯარისკაცი მიადგა ერობათა კავშირის საწყობს, სადაც სხვადასხვა სურსათი იყო და გატეხეს; ადგილობრივმა მუშებმა მიმართეს თხოვნით—ნუ დაგვტოვებთ ჩვენ უსურსათოთო, მაგრამ ვინ მიაქცია მათ ყურადღება. საწყობები დაცარიელდა; ღვთის ანაბარა დარჩენილი ზოგიერთი დაწესებულების მუშები ულუკმაპუროთ ეყარენ და სადღაც დალეწილ საწყობებში მიტოვებულ გაყინულ კარტოფილით იკვებებოდენ; ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ მუშებს ყურადღებას არ აქცევდენ ეს ნაწილები—ნებას არ აძლევდენ გასვლისას, სანამ თითონ არ გავიდოდენ; იმ დროს, როდესაც მათ საჭმელიც ჰქონდათ და სასმელიც. ჩვენ ვიცით, რომ წავიდენ ისეთი დაწესებულების ნაწილები, რომელთაც შეეძლოთ მოეცადათ—უწინ თავიანთი მუშები გაეგზავნათ და შემდეგ თითონ წასულიყვენ.

ზოგიერთი ბოლშევიკები ეუბნებოდენ ჯარისკაცებს, რაც სავარგისი არის და თქვენთვის საჭირო წაიღეთო. ამას შედეგათ მოჰყვა სარაყამიშის აოხრება და დარბევა. გამწვავდა დამოკიდებულება რუსის და სომხის ჯარების ზოგიერთ ნაწილებთა შორის. ამას წინათ რევოლიუციონურ კომიტეტის წინამძღოლობით მოხდა შეტაკება რუსის და სომხის ჯარისკაცთა ნაწილების შორის, რომლის დროს დაიჭრა, რამოდენიმე კაცი; დაიჭრა მძიმეთ სხვათა შორის ამხ. შაუმიანცი, (ცნობილი შაუმიანცი არ გეგონოთ) შაუმიანცმა, როგორც ერთგულმა პარტიულმა მუშაკმა და სიმშვიდის მოყვარულმა, ყოველი ღონე იხმარა მოუალოდნელი სისხლის ღვრა, რომელიც მან იგრძნო მის ირგვლივ აცილებოდა ორივე მხარისათვის, მაგრამ მან ეს ვერ შესძლო; ვერ შესძლო სისხლით მწყურვალე პიროვნებათა შეჩერება. მით უმეტეს დამით და ასტყდა სროლა; ისროდენ ავტომობილიდანაც, რომელიც ირგვლივ დაქროდა და საიდანაც დაიჭრა ამხ შაუმიანცი. ჯერ კიდევ არ იყო მოთავებული პოზიციიდან დაბრუნებული ჯარის გაყვანა აქედან, რომ რევოლიუციონურმა კომიტეტმა შესწყვიტა მოქმედება და სარაყამიშიდან გავიდა. რევოლიუციონურ კომიტეტის დაშლის შემდეგ აღმასრულებელ კომიტეტის ინიციატორობით მოწვეულ იქნა სოციალისტური პარტიების წარმომადგენლების კრება იმის შესახებ თუ ვის უნდა აეღო ძალა-უფლება ხელში. დაესწრენ: მენშევიკები, ბოლშევიკები და ესერები. კრებამ—ერთხმად დაადგინა: უმაღლესი ძალა უფლება მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცა.*)

ნ. ახათიანი.

## წერილი აბასთუმანიდან

28 თებერვალს, ადგილობრივ თეატრში გაიხსნა ახალციხის მაზრის მცხოვრებთა ყრილობა. ეს ყრილობა უნდა მომხდარიყო ახალციხეში, მაგრამ თათრებმა არ მოისურვეს იქ წასვლა. ყრილობას დაესწრო სეიმის 4 წევრი, მაჰმადიანებიდან ორი, სომხებიდან ერთი, ქართველებიდან ერთი—ის. რამიშვილი. მაზრის კომისარი მალლაყელიძე და ამავე მაზრის ტყის კომისარი ლ. რუხაძე და სხვა. თავმჯდომარეთ აირჩიეს ისიდორე რამიშვილი. ისიდორე მიესალმა კრებას. მოქალაქენო! ჩვენ წინ სდგას ყოფნა არ ყოფნის საკითხი, ჩვენ თავისუფლებას და სამშობლოს დაღუპვა მოელის, ამიტომ ყველა ჩვენგანის ვალია მჭიდროთ შევკავშირდეთ და შეერთებული ძალით წინააღმდეგობა გავუწიოთ მტერს. აბა, გადახედეთ მოქალაქენო, პატარა შვეიცარიას! შვეიცარიის ტერიტორიაც ისეა აჭრელებული სხვა და სხვა ერებით, როგორც ჩვენი ქვეყანა, მაგრამ, მათ ერთხელაც არ მოსვლიათ თავში სამარცხვინო აზრი, რომ ერთი მეორეს სისხლი დაღვარონ. ამ საშინელ ომშიაც კი არ მიმხრობიან თავიანთ ერს, როცა სისხლით დამთვრალი იმპერიალისტები აპირებდენ მათ ტერიტორიაზე შეჭრას, არც ერთს არ უთქვამს: მე ფრანგი ვარ ან ნემეციო. ყველა გამოვიდა თავის დასაცავად. სულ სხვას ვხედავ ჩვენში! ჩვენ ვერ შევხვდით რევოლიუციას მომზადებული, ვერ შევიგნეთ მისი მნიშვნელობა. რევოლიუციას მოვსთხოვეთ ის, რის შენარჩუნებაც ჩვენ არ შეგვეძლო. ყველა გაგვიტაცა წყეულმა „მე“-მ, „შენ“ და „ის“ დაგვავიწყდა, ამიტომ გავეხვიეთ ანარქიის ქარ-ცეცხლში. მე მოგაგონებთ, რომ რევოლიუცია ხსნას ელის თქვენგან. დავივიწყოთ ყოველივე გარდა რევოლიუციისა. ვიცხოვროთ ძმურად. შევკავშირდეთ სულით და გულით. მაშინ, მჯერა, შეგვრჩება თავისუფლება და ფიზიკური არსებობაც.

კრებას მიესალმა საქართველოს საბჭოს სახელით ს. აბაშელი. მან უსურვა კრებას ნაყოფიერი მუშაობა.

ყრილობის ინიციატორმა განაცხადა: ყრილობამ უნდა განიხილოს სამი საკითხი: ახალციხეში მაჰმადიანთა ჯარის შედგენის უფლება. მაჰმადიანებისთვის იარაღის და სამხედრო ქონების განაწილება და მაზრის საქმეთა მოწესრიგება. პირველ ორ საკითხში შევრიგდით დროებით, დარჩა მესამე კითხვა და ამაზე უნდა იმსჯელოს ყრილობამო.

კრება გასტანა ორ დღეს. მაჰმადიანების სიტყვებიდან სჩანდა, რომ იგინი მოითხოვდენ მთელი მაზრის ხელში ჩაგდებას.

მაზრის კომისარმა მალლაყელიძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება. მან აღნიშნა ყოველივე ის მიზეზები, რამაც გააღრმავა მაზრაში არეულობა. ყოველივე ეს ნაციონალისტების მოქმედებაა. მცხოვრები აქ არაფერ შუაშია. ბნელმა ძალებმა მოჰკლა საუკეთესო მებრძოლი ძ. ძიგური. ეს „ვაჟბატონები“ წყალს ამღვრევენ, რომ შეუგნებელ მასას თვალები აუხვიონ, თავიანთ იარაღად გამოიყენონ. ამით მათ სურთ დასახულ აზრის განხორციელება. ჩვენ ყოველთვის ვიბრძოდით ბნელ ძალებს. ჩემი თავდადებული მუშაობა იყო მაზრაში წესიერება, სიმშვიდეს დამყარება და ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლა. მე გადამელობენ წინ ჯერ მალულათ, ახლა კი აშკარათ. საზოგადოება აიმხედრეს ჩემზე, რადგან მე ვიყავი მათი ბატონობის საფრთხე. ამის შემდეგ მე კატეგორიულად ვაცხადებ დღეიდან თავს ვანებებ კომისარობასო.

მალლაყელიძეს თხოვეს დარჩენილიყო კომისრათ. ის არ დასთანხმდა.

დასასრულ კრება დაადგა იმ გზას, რომ ოც მარტისთვის მოიწვიონ მთელი მაზრის მცხოვრებთა ყრილობა. ამ ყრილობამ უნდა აირჩიოს მაზრის კომისარი და სხვა მართველობა.

ქვაბუდელი.

---

*) ეს წერილი გამოგზავნილია სარაყამიშიდან 18 თებერვალს. მივიღეთ 8 მარტს.

## რევოლუციის წლის თავის დღესასწაული ქართლში

[illegible]

## თფილისის სახელმწიფო დაწ. მასწავლებელთა კავშირი

[illegible]

...ხადონ ამიერ-კავკასიის მთავრობას, რომელიც სხვა აუარებელ საკითხებთან ერთად შრომის პირობების გაუმჯობესობაზედაც ზრუნავს.

11 მარტს კავშირი დღესასწაულობს წლის თავს. ამ დღეს გამართული იქნება კრებები, კონცერტები და კაბარე სახალხო სახლში, „კრუჟოკში", კონსერვატორიაში და ფინჯან ჩაიებში.

ვუსურვოთ ამ კავშირს ნაყოფიერი მუშაობა და კიდევ მეტი ფხის და უნარის გამოჩენა, რომელიც უმეტესათ საჭიროა დღეს, როდესაც სეიმში მორიგ საკითხათ არის დასმული ძველი დაწესებულებების გადასინჯვა: ზოგის სრულიად გაუქმება და დანარჩენის შემოკლება-განწმენდა და მათი დემოკრატიულ პრინციპზე აგება.

ი. მესხი.

## სოც.-დემ. პარტიაში

**დ. საჩხერე** (შორ. მაზრა). 28 თებერვალს ადგილობრივ ს. დ. კლუბში შესდგა ორგანიზაციის წევრთა კრება, რომელზედაც მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვას. ბურჯანაძემ შემდეგ გაირჩა შემდეგი საკითხი: პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობის გაჩაღება, წრის შექმნა და სოფლებში მეცადინეობა და ყველა რევოლიუციონური დაწესებულების ყურის დევნება.

პირველი საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან დღემდე და ეხლაც კოლექტივის და პარტიის ყველა წევრები თითქმის სხვადასხვა რევოლიუციონურ დაწესებულებაში მუშაობენ და ამის გამო პარტიული მუშაობა როგორც სასურველი იყო, ისე ვერ მიდიოდა, ამისათვის ყველამ სურვილი გამოსთქვა, რომ დღეიდან დაიწყონ ორგანიზაციაში მუშაობა. კოლექტივს წევრებს ევალება, რომ შეიძინოს პარტიის წევრები.

კოლექტივს ევალება გადასინჯოს პარტიის წევრთა სია და ზოგიერთი ისეთი წევრები, რომლებიც პირველად ჩაეწერენ და თავისი მოქმედებით არ ემორჩილებიან პარტიულ დისციპლინას, იქნენ გამორიცხული პარტიიდან.

მეორე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა, შესდგეს მოწინავე ამხანაგებისაგან წრე, რომელმაც უნდა ამეცადინოს ყოველ კვირაში ერთხელ. შემდეგ ამხანაგები იმაცადინებენ შეძლებისა და გვარათ ყოველ სოფელში და ყოველ სოფელში შექმნიან ორგანიზაციებს. მეცადინეობა მოხდება ყოველ ოთხშაბათობით. მესამე საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: ვინაიდან პროვოკატორები გამოდიან მასაში და ამხედრებენ ამა თუ იმ რევოლიუციონურ დაწესებულების წინააღმდეგ, ამისთვის, ყველა რევოლიუციონურ დაწესებულებაში შევიდენ ჩვენი ამხანაგები და თვალ-ყური ადევნონ მათ ყოველ-გვარ მოქმედებას.

შალიკო ხვადაგუნელი.

## მუშათა შორის

**ქუთაისი.** ევროპიულ ტანსაცმელების მკერავ მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა აცხადებს კავკასიის ყველა მკერავთა კავშირების საყურადღებოთ, რომ სანებლიძის სამკერვალოს ქარხნის მუშამ გრიგოლ მანდარის ძე შახრიანცმა გაიტაცა ზემო ხსენებულ ქარხნიდან თუთხმეტი ათასი მანეთის ღირებული „ზაკაზები" (მუშტრების) და მასთან სესხის სახით გამორთმეული ამხანაგების ფულები. კავშირი მოუწოდებს ამხანაგებს და აგრეთვე თფილისის მკერავთა კომიტეტს თვალყური ადევნონ და თუ კი ის სადმე გამოჩნდეს დააპატიმრონ და გამოგზავნონ ქუთ. ცენტრალურ კავშირში. აგრეთვე ვთხოვთ ცენტრალურ თფილისის მკერავთა საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმს ენერგიული ზომები მიიღოს მის აღმოჩენაში გვაქვს იმედი გადაბეჭდავენ ამას რუსული და სომხური გაზეთები.

ქუთ. ევრ. ტან. მკერ. პროფ. კავშირის თავმჯდომარე აქსენტი შაგულიძე.

---

**იარაღთვის ქარხანა.** უზარმაზარი იარაღთვის ქარხანა, სადაც რამდენიმე ასი კაცი მუშაობს, დიდ კრიზისს განიცდის. საომბი მასალის უქონლობა ფრიად აფერხებს ქარხნის ნორმალურ მუშაობას და აგრეთვე სამუშაოს სიმცირე დიდ ზარალს აყენებს ქარხანას. წინათ ამ ქარხანაში ომისათვის საჭირო მასალები მზადდებოდა და რასაკვირველია, საქმეც ბევრი იყო. ახლა კი, ქარხანა კერძო პირთაგან შეკვეთილ საქმეს აკეთებს. სამუშაოს სიმცირე იწვევს შრომის ნაყოფიერების შემცირებას. როდესაც მუშამ იცის, რომ გაათავებს თუ არა შეკვეთილ საქმეს, მან გულზე ხელი უნდა დაიკრიფოს და ელოდებოდეს როდის გამოუჩნდება საქმე ის, რასაკვირველია, ინტენსიურათ არ იმუშავებს. რასაკვირველია, ახალგაზრდა, კლასთა ბრძოლაში გამოუწრთვნელ მუშებს ჯერ ვერ შეუგნიათ თავიანთ მოვალეობა და ესეც ერთი მიზეზთაგანია ქარხნის წარმოების დაქვეითებისა. ჩვენი მხრის ინტერესები კი მოითხოვს ქარხნის საქმე კარგ დონეზე დავაყენოთ. საჭიროა ეკონომიურმა საბჭომ ამას ყურადღება მიაქციოს და აქციონრების ხელში დატოვებულ ქარხანას მზრუნველობა კაუწიოს. ქარხანაში უნდა კეთდებოდეს სამეურნეო იარაღები და ამით დიად სამსახურს გაუწევენ ჩვენი მხრის დაქვეითებულ მეურნეობას. მაშინ მუშებიც ნაყოფიერათ იმუშავებენ, რადგანაც გაითვალისწინებენ იმ სარგებლობას, რომელიც მათ შეუძლიათ მოუტანონ მიწის მუშა გლეხკაცობას.

## პროვინცია

**ს. თიანეთი.** 25 თებერვალს გაიმართა თიანეთის საზოგადოების კრება ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა მეთაურობით. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: მობილიზაცია, ამიერ-კავკასიის სეიმი, მიწების განაწილება და სახალხო მილიცია.

ამ საკითხების შესახებ მოხსენება გააკეთეს მაზრის კომისარმა ლაცაბიძემ და სახ. მილიციის ინსტრუქტორმა წივწივაძემ. მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ერთხმად რეზოლიუცია, რომლითაც კრება სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის სეიმს, რომელიც დარაჯათ უდგას რევოლიუციას—სთხოვს დაუყონებლივ გადაჭრას მიწის საკითხი, სანამ მიწის დამუშავების დრო მოაღწევდეს, რომ ამ საკითხმა არ გაამწვავოს მდგომარეობა სოფლად.

ყოველივე ძალ ღონით დაეხმარონ ადგილობრივ სამაზრო მთავრობას 19—25 წლიანების ჯარში გასაწვევათ.

დაუყონებლივ შეუდგენ სახალხო მილიციის შედგენას და გაწვრთნა-ვარჯიშობის საქმეს.

საზოგადოთ ეტყობა, რომ ჩამოსულ ჯარისკაცთ უმრავლესობა დღეს ცხოვრებამ დააინტერესა და ისინიც ჩაებენ საერთო სახალხო მუშაობის ფერხულში.

28 თებერვალს აქ გამართეს რევოლიუციის წლის თავის დღესასწაული. ამ დღეს სამაზრო კომისარიატის დადგენილების თანახმათ თიანეთში შეიკრიბენ მთელი საზოგადოების მცხოვრებნი და წითელი დროშებით ხელში მარსელიეზის და ხალხური სიმღერებით გაემართენ სოფლის ქუჩებზე.

ილაპარაკეს მაზრის კომისარმა, მის თანაშემწემ და სხვებმა. ადგილობრივი ჯარისკაცები სხვა ორატორებთან ერთათ მოუწოდებდენ ხალხს დაიცვან რევოლიუცია განსაცდელისგან, რომ ფუჭათ არ ჩაიაროს იმ მსხვერპლმა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში რევოლიუციამ შეიწირა. ორატორების სიტყვების შემდეგ მიტინგმა ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაინგრა მეფის ტახტი. ჩვენ ველოდით მის ნანგრევებზე შექმნილიყო თავისუფალი რუსეთი და მის ფარგებში თავისუფალი საქართველო, მაგრამ ოქტომბრის გადატრიალებამ და უპასუხისმგებლო პირების მოქმედებამ რუსეთი და მისი თავისუფლება დაღუპვის კარამდე მიიყვანა, და ამიერ-კავკასია, მასში დასახლებული ერებიც ჩათრეულ იქნა ამ უბედურებაში.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი მხარე განსაცდელშია, მის თავისუფლებას დაღუპვა მოელის და დადგა ის დრო, როდესაც ქუდზე კაცს უნდა მოვუწოდოთ, რომ დავიცვათ ჩვენი მხარე და თავისუფლება, ამიტომ თიანეთის საზოგადოების მიტინგი, რევოლიუციის წლის თავზე შეკრებილი ადგენს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ თავისუფლების დასაცავათ გარეშე, თუ შინაურ მტრისაგან, ჩვენსავე არჩეულ რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან შემოკრებილნი, ფიცს ვსდებთ სეიმის და მ. ჯ. და გლ. საბჭოების წინაშე, რომ მათთან ერთათ ვიბრძოლებთ თავისუფლების დასაცავათ და მის განსამტკიცებლათ.

უნდა ვთქვათ, რომ ხალხი ძლიერის აღტაცებით შეხვდა ამ დღესასწაულს, ამ ერთათ-ერთ დიდმნიშვნელოვან დღეს და მის გულში განახლდა და აღიბეჭდა რევოლიუციისადმი სიყვარული.

მიტინგზე არა სჩანდა ეროვნულ-დემოკრატების პარტიის წარმომადგენლები, ისინი დღის სინათლეზე ველარ ჰბედავენ გამოსვლას და სოროებში მუშაობენ.

ნარწინი.

**მარტვილის რაიონი** (სამეგრელო). მარტვილის, კინჩხისა, ნახუნაოს საზოგ. და ნაგვაზოუს საზოგადოების ნაწილში ს. ქვედა ხუნწი, ზედა ხუნწი და სუხჩეში უკვე შიმშილობა დაიწყო. მიუხედავათ საგუბერნიო სასურსათო გამგეობის დადგენილი ნიხრისა, დამშეულები 15—20 მ. აძლევენ სიმინდის პატრონთ ჩუმათ, მაგრამ შოვნა კიდევ უჭირთ, თუ რომელიმეს ბედმა გაუღიმა და ჩუმათ იყიდა, გზაში ხვდებიან შეიარაღებული ჯარისკაცები და ართმევენ. ნაგვაზოუს საზოგადოებაში, თვით ს. ნაგვაზოუ და ნოჯიხევში ბევრი იყო სიმინდი, მაგრამ ყველა ღამით გაიტანეს ხონში, ვინაიდან იქ ნიხრი არ არსებობდა და სიმინდს ყიდდენ ისე, როგორც მათ უნდოდათ, ფუთს ხზირათ 20—22 მანეთში. როგორც ვიცით ეხლა სდგება სარევიზიციო კომისია, რომელიც ჩამოართმევს საზრდოზე მეტ სიმინდს და დაურიგებს ნიხრზე დამშეულებს. ეს კარგია, მაგრამ საუბედუროთ ჩვენდა ეს ზომა დაგვიანებულია. აქ სიმინდი აღარ იშოვება. ჩვენი შიმშილით სიკვდილისაგან დახსნა შეიძლება თუ ზანძისა და აბაშის რაიონებიდან სიმინდი მოგვეცეს და თუ ეს ასე არ იქნა, შიმშილით სიკვდილი აუცილებელია. გაჭირვება მეტის მეტია. ნახავთ ისეთ ოჯახს, რომ ორი დღე ითმენს შიმშილს. საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ ვისიც ჯერ არს.

ნ. ზაქარიაშვილი.

---

**ს. ბახვი** (გურია). 25 თებერვალს ღამით ბოროტ-გამზრახველებმა გაძარცვეს ფანფალეთის საამხანაგო დუქანი „განთიადი" და გაიტანეს ფულათ 3,000 მ. საქონლისთვის ხელი არ უხლიათ, მეორე დილასვე შეიკრიბა სოფელი და ქურდების აღმოსაჩენათ მიიღო ზომები, აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია.

ამავე ღამესვე ს. ვაკიჯვარში შალვა გოგიტიშვილს უცბათ გაუვარდა რევოლვერი, მოხვდა ქვრივს ლოლა გოგიტიშვილისას, რომელიც მეორე დილას გარდაიცვალა. ეს ერთი ხანია ბახვის საზოგადოებაში თავი იჩინა არა სასიამოვნო ამბებმა, ეკლესიის გაძარცვით წათამამებულნი ახლა საამხანაგო დუქნებსაც მიყვეს ხელი და ხალხის ქონებას იტაცებენ, ალბათ, ფიქრობენ ის მაწანწალები ეკლესიის გაძარცვა შეგვრჩა და ესეც შეგვრჩებაო, მაგრამ ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანს.

შავი.

**სამეგრელო.** ომის გამოცხადების დღიდან სამეგრელოში დეზერტირობას ფართე ნიადაგი ჰქონდა. მაშინაც, როცა ნიკოლოზის მთავრობის ხიშტები ემუქრებოდა მათ, ისინი არ ცხრებოდენ და ემალებოდენ სამხედრო ბეგარას და ზოგიც ფრონტიდან სოფლებში გარბოდა. ცარცვა-გლეჯას, დაცემას და ყაჩაღობას კიდებდენ ხელს. რევოლიუციამ ხომ სულ ხელ-ფეხი გაუხსნა მათ, აშკარად მოგვევლინენ. ყველა ისინი ეხლა „ბალშევიკები" არიან. სამეგრელოში ყოფილი ჯარისკაცი შეკითხვის თანავე გიპასუხებთ, „მე სოციალ-დემოკრატი კი არა, ბალშევიკი ვარო". ეხლა კრებებზე ვისაც შინელი არ აცვია, ის დეზერტირია და ვისაც აცვია ის კი პირველი კაცია. როგორც მოგეხსენებათ, კომისარიატის მოწოდებაზე ამიერ-კავკასიის სიმაგრეების დაცვის შესახებ ზოგიერთი ყოფილი ჯარისკაცები აცხადებენ, რომ ჩვენ დაღლილი ვართ და ეხლა მოქალაქეებმა და დანარჩენებმა დაიცვან ფრონტიო. ისინი ხალხს აჯერებენ, რომ ბათუმი, არდაგანი, ყარსი და მათი მიდამოები თათრის იყო მუდამ, ხოლო ის რუსებმა წაართვეს და ეხლა ოსმალეთის მოთხოვნა მათი დაცლის შესახებ სრული სამართლიანობააო. აი ასე მსჯელობს დღეს თითქმის სამეგრელოს ყველა კუთხეებში ყოფილი ჯარისკაცის ფარაჯებში გამოხვეული—მძარცველები; ვისაც საომრად წასვლა არ სურს, ის ბალშევიკია. ერთად ერთი იმედი, როგორც მოსალოდნელი იყო, გაჭირვების დროს სამეგრელოს შეგნებული ნაწილი დემოკრატიისა გამოეხმაურა მოწოდებას. ახალ-სენაკში უკვე დგება „აზმი თავდაცვის საჭიროებისთვის. მასსის თვალ-ყური ომისა და ზავისაკენაა მიპყრობილი.

თუმცა სამაზრო სასურსათო კომიტეტმა მიიღო ზომები, რათა არ დარჩეს დაუთესავი მიწები, მაგრამ მაინც წელს ხალხი არ აპირობს სიმინდის დათესვას, ვინაიდან არ იცის რა მოელის შემდეგში. სურსათის მხრივაც დიდი უიმედობაა სოფლებში, 50 პროცენტს გლეხობისას საერთოდ ეხლაც აკლია სიმინდი. პურის შემოტანის იმედი ხომ სულ მოსპობილია.

პარტიული მუშაობა მინელდა. წინეთ კრებებს ხალხი ბლომად ესწრებოდა, მაგრამ ეხლა ნაკლებად ესწრება.

ძმა კაცი.

## ცნობები

### ჯარის-კაცთა შესახებ.

ნოე გ. ძნელაძე მსახურებდა ტავრიჩესკის გუბ. მის შესახებ ოქტომბერს შემდეგ არაფერი ვიცით. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით გვაცნობეთ: დ. ჩოხატაური, ბურნათის მომ. საზ. სერგო მოსეს ძე თევზაძეს.


კანტორა „განათლებაში" იყიდება თაგვების და ვირთხების

**საწამლავი**

ოლღას ქ. № 6.

ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. და საღ. 4—6 საათზე. ადრესი: მოსკოვის ქუჩა № 11.

ექიმი

**ვ. ვ. კლდიაშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი

**დ. ი. ჟორდანია**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

**პეპელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი კ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

იღებს ყოველ-დღე შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოთი დასნეულებულ ავადმყოფთ—დილის 9—3 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ბინა № 5.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

**გ. გ. მუქრაგიანცისა**

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მწრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ბარებით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ. —7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

**ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

**გ. დონხინი**

ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი ქალი

**რ. გ. შიშლო-სამაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.


## ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **თავისუფალია ქალაქის ინჟინრის ადგილი.** ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, თხოვნა უნდა შემოიტანოს ქალაქის გამგეობაში მდგომარე მარტის 30 რიცხვამდი და თან წარმოადგინოს თავისი „curricu um vitae". ინჟენერისათვის სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა, მასთან პრაქტიკული გამოცდილება, განსაკუთრებით ქალაქის მეურნეობის დარგში. ინჟენერს დაენიშნება წლიურად 6.000 მანეთი (აქედან ძირითადი შტატის ჯამაგირი 3.000 მანეთი და ომისაგან გამოწვეული დამატებითიც 3.000 მანეთი). (3—1)

---

**თფილისის მუშ. და ჯარ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება.**

1917 წლის 17 დეკემბრიდან გაიხსნა

## სახალხო უნივერსიტეტი

(მიხეილის პრ. № 91)

**იკითხება შემდეგი საგნები:**

1. ასტრონომია . . . . . . . ბ ე კ ი
2. ანატომია და ადამიანის ფიზიოლოგია . . . სტავინსკი.
3. მათემატიკა . . . . . . . გეკკერი.
4. ფ ი ზ ი კ ა . . . . . . . მეფერტი.
5. გეოგრაფია . . . . . . . მაოროვი.
6. პოპულიარული მედიცინა და გიგიენა . . . წულუკიძე.
7. რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია . . . ი შ კ ო ვ ი.
8. ლიტერატურის ისტორია . . . . . პ ა ლ მ ო ვ ი.
9. ძველი წყობილება და რევოლიუცია საფრანგეთში ჩემოდანოვი.
10. პოლიტიკური ეკონომია . . . . . მახვილაძე.
11. საზოგადო შემეცნება უფლებაზე . . . . სტრელკოვსკი.

**6 მარტიდან მოწვეულია ახალი ლექტორები:**

პროფ. მაქსიმოვი . . . . . . . მცენარეთა ცხოვრება.
პროფ. მიშჩენკო . . . . . . . საზოგადო ბიოლოგია.
პროფ. ხარაზოვი . . . . . შესავალი უმაღლესი მათემატიკისა.
პრივატდოცენტი სელიხანოვი . . . . . ფსიხოლოგია.
სტ. ვოლსკი . . . . . . . . მარქსიზმის ფილოსოფია.
ამ. ლემლეინი . . . . . . . . ფიზიკა.
ნევტოროვი . . . . . . . . ქ ი მ ი ა.

ლექციები იკითხება საღამოს 7 საათიდან. არავითარი წინასწარი მომზადება მსმენელს არ ესაჭიროება.

## სწავლა უფასოა.

ჩაწერა ხდება დილის 11 1 საათამდე და საღამოს 5—10 საათამდე სახალხო უნივერსიტეტის შენობაში. (3—2)

---

## თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან

მიმდინარე წლის 6 მარტს გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა შესცვალა პროდუქტების და ყოველივე მოსახმარ საგნების შემოტან-გატანის არსებული წესი და დაადგინა შემდეგი:

1) გუბერნიის სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად თფილისიდან არ გაიტანება: კარაქი, ერბო, ყველი, საპონი, შაქარი, ჩაი, ასანთი (სფიჩქა), ფქვილი, ძაფი, თამბაქო და თამბაქოს ნაწარმოები, ნავთი, მანუფაქტურა, ტყავი და ტყავეულობა, გოგირდი, შაბიამანი, რკინეულობა (железо сортовое), ლურსმანი, მავთული, სამეურნეო იარაღები, აბრეშუმის თესლი—გრენა, ოთხფეხი საქონელი, სასურსათო პროდუქტები, ხახვი, მწვანილი და ფურაჟი.

2) ნებადართულია დაუბრკოლებლად გატანილ იქმნეს: საგალანტერიო საქონელი, საოჯახო ნივთები, მონპასე, პამფუშქერია (საპნის გარდა), მინეულობა, ჭურჭელი, ხილი, თხილი, სემიჩქა, საწერი ქაღალდი, სააფთიაქო საქონელი, კონსერვები, და მატყლი.

3) ყოველივე სასურსათო პროდუქტების და საგნების შემოტანა თფილისში ხდება დაუბრკოლებლად, მხოლოდ საჭიროა ადგილობრივ სასურსათო ორგანიზაციების ნებართვა.

ამ დადგენილებასთან ერთად ყველა აქამდე გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი და განკარგულებანი ამ საგნის შესახებ ითვლება გაუქმებულად.

(2—2) გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

მშრომელ-მწიგნობართა სტამბა რუხაძისა, გაბაშვილის შესახვევი, № 1.